



## საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

---

### თეოდოსის ლავრა

თეოდოსის ლავრა, მონასტერი პალესტინაში, მდებარეობს იერუსალიმის სამხრეთ-აღმოსავლეთით მე-10 კმ-ზე. დააარსა თეოდოსი კვინობიარქმა (423–529). მისი ბიოგრაფის მონუმბით (თეოდოსის ცხოვრება 530 წ. ახლო ხანებშია დაწერილი), თ. ლ-ში არსებული რამდენიმე ეკლესიიდან ერთი სპეციალურად ქართველებისათვის იყო განკუთვნილი: „ერთში მამათა სიმრავლე ბერძნ. ენაზე სწირავს ღმერთს მსხუერპლსა ქებისას, მეორეში ბესთა ნათესავი თავისი საკუთარი ენით აღავლენს უზენაესისადმი ვედრებას...“. კ. კეკელიძის მოსაზრებით, „ბესში“ ლაზები უნდა იგულისხმებოდნენ.

ლიტ.: მ ე ნ ა ბ დ ე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980.

---